პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2019 წლის --- ივნისი ქალაქი ბათუმი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

"საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება:

ა). განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომ ტექსტში - „მარწმუნებელი") წარმომადგენლად დაინიშნოს:

ა) საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი (შემდგომ ტექსტში - „რწმუნებული");

ბ) საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების ერთ-ერთი მოხელე (შემდგომ ტექსტში - „რწმუნებული")".

ბ). განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რწმუნებულს მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ დაიცვას მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები, რისთვისაც წარმოადგინოს მარწმუნებელი საქართველოს ყველა ინსტანციის საერთო სასამართლოში, აწარმოოს როგორც სამოქალაქო, ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის და სხვა შესაბამისი საქმეები. ამ დავალების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა ის მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: შეიტანოს განცხადება, საჩივარი, შუამდგომლობა ან სარჩელი, წარადგინოს შესაგებელი (შეპასუხება), შეგებებული სარჩელი, გაეცნოს საქმის მასალებს და ასევე სხვა ინფორმაციას, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, განაცხადოს აცილება, გადაიღოს ასლები, წარადგინოს მტკიცებულებები, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, წარადგინოს შუამდგომლობები, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, შეამციროს ან გაადიდოს სარჩელის მოთხოვნის მოცულობა, ცნოს და უარყოს სარჩელი, დაამთავროს საქმე მორიგებით, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული აქტი, წარადგინოს სააპელაციო, საკასაციო საჩივარი, მიიღოს მონაწილეობა აღსრულების პროცესში, აიღოს სააღსრულებლო ფურცელი და მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტაციას. რწმუნებული ვალდებულია ყველა მოქმედება შეასრულოს პირადად და კეთილსინდისიერად, განახორციელოს ნებისმიერი სხვა მოქმედება, რაც პირდაპირ არ

არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. "

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განმარტებითი ბარათი

პროექტის სახელწოდება და სათაური

"საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

"საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში განხორციელებული საკადრო ცვლილების შესაბამისად - ვინაიდან შეიცვალა აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი, რომელიც მითითებული იყო განკარგულებაში, კანონმდებლობასტან შესაბამისობაში მოსაყვანა საჭირო გახდა „საქართველოს საერთო სასამართლოებში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №30 განკარგულებაში ცვლილების შეტანა და უფრო ზოგადი სახით ჩამოყალიბება, რაც გამორიცხავს მომავალში ხშირად ცვლილებების შეტანას ზემოხსენებულ განკარგულებაში. სასამართლოში წარმომადგენლობასთან დაკავშირებით დოკუმენტის სახით შემდგომში წარდგენილ იქნება რწმუნებულება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ზრდას.

ბ.ბ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

განკარგულების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსური შედეგების დადგომას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი - ირაკლი თავართქილაძე